ისწავლე კითხვა

საფეხური 2

ნამცეცა

ილუსტრატორი

ელენა სელივანოვა

სულაკაურის
გამომცემლობა

ერთ ქალს ძალიან უნდოდა, შვილი ჰყოლოდა. მან გრძნეულს სთხოვა დახმარება. გრძნეულმა ქალს თესლი მისცა და დაარიგა:

– ქოთანში დათესე და დაელოდე.

ქოთნიდან მშვენიერი ყვავილი ამოვიდა, რომელშიც ციცქნა გოგო იჯდა. ქალმა გოგონას ნამცეცა დაარქვა და ფანჯარასთან დააბინავა. ნამცეცა მთელ დღეს მღეროდა და თამაშობდა.

ერთ ღამეს ფანჯარაზე გომბეშო ამოხტა და მძინარე ნამცეცა მოიტაცა.

ნამცეცამ დუმფარას ფოთოლზე გაიღვიძა.

– სად ვარ? – იკითხა ტირილით.

– მდინარეში. ეს ჩემი ვაჟია და შენ მისი ცოლი გახდები, – დაიყიყინა გომბეშომ.

ნამცეცამ თევზებს სთხოვა დახმარება.

თევზებს შეეცოდათ ციცქნა გოგო და დუმფარას ფოთოლს ღერო გადაუჭრეს.

ფოთოლი დინებას გაჰყვა.

ნაპირზე გადასულ ნამცეცას ხოჭოები შემოხვდნენ.

– აი, ასეთი ცოლი მინდა! – შესძახა ერთმა ხოჭომ.

– ჰა-ჰა! რა უშნოა! მხოლოდ ორი ფეხი აქვს! – დასცინა ხოჭოს მუხლუხმა.

– ჰო, მაშინ არ მინდა! – თქვა ხოჭომ და გაფრინდა.

ნამცეცამ გზა განაგრძო და ახლა ჩიტები გაიცნო.

მან მთელი ზაფხული მინდორში, ჩიტებთან ერთად გაატარა.